წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ოთხშაბათი სექტემბრის 27—(10) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| თვიურათ | 3 მან. |
| ოთხი თვით | 1 თუმანი. |
| ცალკე ნუმერი | 3 შაური. |

განცხადების ფასი:

| | |
|---|---|
| პირველ გვერდზე პეტიტით ღირს | 2 აბაზი. |
| უკანასკნელ გვერდზე | 5 შაური. |

ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი-ორად. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 2 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 136    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 136

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ 22 სექტემბერს ღამის 2 საათზე მოულოდნელათ გარდაიცვალა პარტიის წევრი და საზოგადო მოღვაწე

## პეტრე იოსების ძე ყიფიანი

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე (ძვ. დროით) საკუთარი ბინიდან, სოლ. წერეთლის სახლი, კოკოჩაშვილის აფთიაქის გვერდით. დაიკრძალება დროებით საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

დამწუხრებული შვილები: ვიქტორ, ვასილ, გიორგი, ელპიტე, ანიჩკა, გალინე და ცუცა; რძლები: ფაქიზო და ნინო; სიძეები: ვასილ და არსენ და შვილის-შვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ; რომ 3 ოქტომბერს დაბა ლაილაშში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი პირველთ დედის, მეორეთა დედამთილის, მესამეთა სიდედრის, მეოთხეთა ბებიის

### ალექსანდრა დავითის ასულის ჩიჩინაძისა

გარდაცვალებიდან ორმოცის დღის შესრულების გამო.

---

თავად ალექსანდრე (საშა) და მეუღლე მისი კნ. ვერა მხეიძენი, ღრმად დამწუხრებული აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, პირველი ძვირფასი მამისა და მეორე დაუვიწყარი მამამთილის.

### თ-დ ბესარიონ გრიგოლის ძის მხეიძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს 28 სექტემბერს ქ. ახალ-სენაკში. გამოსვენება დილის 9 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

## 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელათ, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უეგზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელათ. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს საღამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

---

**საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კოლეგიის ხელმძღვანელობით,**

ქალაქ ქუთაისში გახსნილია საღამოის საყოველთაო მოსამზადებელი

## კ უ რ ს ე ბ ი,

მოწაფეთათვის უფლებებით აღჭურვილი, სადაც მიიღება ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა სიმწიფის და სხვა მოწმობებზე მოსამზადებლად.

**მისამართი:** ქ. ქ. ქართული გიმნაზია 6 საათიდან —8 საათამდის საღამოს.

---

## წიგნის გამომცემლობა „განათლება“

**აცხადებს, რომ დაიბეჭდა და გამოიცა შემდეგი წიგნები:**

1. სილ. ხუნდაძის ქართული გრამატიკა . . ფ. 1 მან. 5 შაური.
2. მისივე—მოკლე ქართ. გრამატიკა. . . ფ. — — 10 „
3. ი. ნიკოლაიშვილის მოკლე ქართ. გრამატიკა . ფ. — — 10 „
4. ოცხელის ელემენტარული ალგებრა. . . ფ. 1 მან. 10 შაური
5. მისივე—გეომეტრია . . . . ფ. 1 „ 10 „

**ი ბ ე ჭ დ ე ბ ა:**

1. დასაწყისი გეოგრაფია მრავალი სურათებით შემკული, შედგ. გ. ცაგერეიშვილის, დ. ქუთათელაძისა და შ. სანიკიძის მიერ.
2. არითმეტიკული კრებული გიმნ. I, II და III კლ. კურსი, შედგ. ალ. ჯაფარიძის, ს. დათეშიძისა და ალ. მგალობლიშვილს მიერ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, ზაქ. მაჭავარიანის სახლი.

---

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

ეს არის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

## საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

---

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

---

**ე ქ ი მ ი**

**ზ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

---

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

---

**ექიმი შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

## მერვე თვე...

დღეს სწორედ შვიდი თვე შესრულდა, მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფოს თვალ უწვდენელ სივრცეზე აგორდენ დიდი რევოლუციის ძლიერი ტალღები...

ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მიიწმოიწევენ ეს ტალღები და საგონებელში აგდებენ იმათ, ვისაც ხალხი და მისი კეთილდღეობა მარტოოდენ უქმ სიტყვებად არ მიაჩნიათ!...

რუსეთი! რუსეთი! უცნაურობის ქვეყანა იყო და არის იგი! მისმა სიდიადემ, მისმა ბუმბერაზობამ დაჩრდილა, გააბრუა ის პატარა ერები, რომლებიც ნებსით თუ უნებლიედ მოჰყვენ ამ უზარმაზარ სახელმწიფოის ფარგლებში.

ყველაზე მეტად დაისაჯა და დაკნინდა საქართველო. ვით პაწია ფოთოლი დიდი ვერხვის ხეზე, განუწყვეტლივ თრთოდა ჩვენი სამშობლო ძველი რუსეთის მბრძანებელთა წინაშე და დღევანდელამდე ვერ ბედავს ხმის ამოღებას, თავის უფლების ხმა მაღლა მოთხოვნას.

ამ უილაჯობას თავისი გრძელი და დუხჭირი ისტორია აქვს.

ას ჩვიდმეტი წელიწადი—წლები დაჩაგრულობისა და უმწეობისა—ფითრივით ჩააკვდა ჩვენი მშრომელი ხალხის—გლეხობის—გულმკერდს დ გამოსწუწნა თავანკარი სისხლი, დაუწვრილმანა სულისკვეთება...

რუსის ყაზახების მათრახით ზურგ-დამწვარი და რუსის ჟანდარმ-პოლიციელების „პროტოკოლებით“ განიავებული ქართველობა წელში მოიღუნა, დაჩიავდა, დაჰკარგა თავის თავის იმედი, დაჰკარგა ძველი რაინდობა, დაჰკარგა ძველი ზნე და ჩვეულობა, ნათესაობა, პურ-მარილიანობა, დაჰკარგა სჯული და რწმენა თავის თავისადმი.

ქართველობის ასეთს ყოფნას ხელი შეუწყო რუსის სკოლამ, რუსის ეკლესიამ, რუსის ლახტმა და რუსის ხმალმა....

შენიშნულია, რომ გაბარებულ ბავშვს აღარ უყვარს თავისი ღვიძლი დედა. მას დედად მიაჩნია თავისი ძიძა! ჩვენც, ქართველები, გაბარებულნი ვიყავით ამ ასს ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, მოწყვეტილი ვიყავით მშობლიურ ნიადაგს, და რაღა საკვირველია, რომ დღეს ისევ სხვას ვებღაუჭებოდეთ კალთაზე და ვერა ვხედავდეთ, რა საფრთხე მოელის ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მეობასა და ვინაობას! მაგრამ ცხოვრება ყველა მქადაგებელსა და პარტიაზე ჭკვიანი ყოფილა. ალღო თავის დაცვისა - ეს უმთავრესი ძარღვი სიცოცხლისა—ნელ-ნელა იღვიძებს ჩვენშიაც და იქნება ახლა მაინც გამოგვაფხიზლოს იმ ამბებმა, რომლებიც დღეს რუსეთში ხდება.

რუსეთი დაღუპვის გზაზე სდგას. სხვისი „მაზიარებელი“ ლამის თითონ მოკვდეს უზიარებლად და ჩვენც თან გადაგვიტანოს. ტყვილად სცდილობენ ჩვენი ქვეყნის ღვიძლი შვილები—კარლო, კაკი, აკაკი—შეკოწიწებას იმისას, რაც ბუნებრივად შეუძლებელია, ტყვილად აკლავენ თავს გატეხილ გობის გამთელებას...

მართალია, „მოყვასისათვის თავ დადება ქრისტე ღმერთის ანდერძია“, მაგრამ კაცმა თავისი თავიც არ უნდა დაივიწყოს.

რუსეთის დიდ რევოლუციას ყველაზე თვალსაჩინო მებრძოლები მისცა პატარა საქართველომ და, ვინც ამას არა ხედავს, ის მიაგავს იმ რეგვენს, რომელიც ფეხითა სთელავს პაწია, მაგრამ ძვირფასს მარგალიტს.

და აი ეს პაწია, მაგრამ რუსეთის იმპერიის დამამშვენებელი მარგალიტი—საქართველო—მთელი საუკუნის განმავლობაში ფეხით ითელებოდა უღირსთაგან და ისედაც გაითელა, რომ ფიქრი და ზრუნვა ამ მარგალიტისათვის—კონტრ-რევოლუციონერობადაც კი მიაჩნდა ყველაზე უძლიერესსა და დღეს გაბატონებულს ერთ-ერთს ჩვენ პოლიტიკურ პარტიას,—რომელიც დიდი ოსტატი გამოდგა ძველი რეჟიმის დანგრევაში, მაგრამ **დღევანდლამდე** ნაკლებ ზრუნვას იჩენდა საქართველოს აშენების საქმეში.

საქართველო კი უეჭველად უნდა აშენდეს, უნდა აღსდგეს, თუ კაცობრიობას სურს, რომ იხილოს ნიმუში რაინდობისა, სიტყვის საქმედ გადაქცევისა.

სამწუხარო და სავალალოა, როცა ხედავ, რომ მეზობლის სახლი იწვის, მაგრამ უფრო სავალალო და საუბედურო იქნება, როცა თვით შენი საკუთარი სახლი დაიწვება და შენც შიგ ამოიხრუკები.

რუსეთი იწვის, იწვის ცეცხლითა მით დაუშრეტელითა. საქართველო მოვალეა მიეშველოს მას, ჩააქროს ხანძარი იგი უსაშველო, მაგრამ თავის თავსაც უნდა შემოავლოს ისეთი არხი, რომ ცეცხლი იგი არ გადმოსწვდეს მას და არ ამობუგოს იმედი და ოცნება ტანჯულის ქვეყნისა!...

— ფიქრობდა ამაზე საქართველო?

— ძალიან ნაკლებად!

— დღეს მაინც ჩაფიქრდა თავის ყოფნაზე?

— ღვთით, გვგონია, ალღო სიცოცხლისა ქართველ ხალხსაც ეღვიძება...

რუსეთის რევოლუციის მეთაურმა ჩვენმა არწივებმა თავის ქვეყანასაც გადმოხედეს მოწყალების თვალითა. საჭიროა მხოლოდ ისევე გაალვიონ სიყვარული თავის სამშობლოისა ქართველ მასსაში, როგორც გაალვიეს მასში თავდადება გადამთიელებისათვის.

ამ იმედით ვეგებებით რუსეთის რევოლუციის მერვე თვეს...

ამ იმედით უშიშრად შევყურებთ შიდა გუბერნიებში ანარქიად გადაქცეულ რუსეთის დიდ რევოლუციას...

**ია ეკალაძე.**

## საშური კითხვა.

(ყაჩაღობის გამო).

დასავლეთ საქართველოში ფეხს იდგამს ყაჩაღობა. იშვიათია სოფელი, რომ ძარცვა-გლეჯისაგან შეწუხებული და შევიწროებული არ იყოს. ყაჩაღობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო სამეგრელოსკენ. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის ერთი წევრი ამას წინათ ქუთაისის გუბერნიის კომისარს აუწყებდა, რომ სოხუმის ოლქში და სენაკის მაზრაში გაძლიერებული ყაჩაღობა სწარმოებს, რომ შავიზღვის ნაპირებში მიმოსვლა შეჩერებულია, რადგან ყაჩაღნი ჯგუფობრივ ხვდებიან მგზავრებს.

მაგალითები სხვა ადგილებში მრავალი იყო.

ამ ჟამათ ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა ზომას უნდა მიემართოს ამ საშინელ უბედურებასთან საბრძოლველათ. ცხადია, ყაჩაღობა დიდ ბოროტებას განუმზადებს მთელ ხალხს, თუ ჩვენ ვერ შევსძელით მისი დაძლევა. ვინ უნდა ებრძოლოს მძარცველ-მგლეჯელთა წრეს?

გვიპასუხებენ: უწინარეს ყოვლისა მილიციაო. სამწუხაროთ ქუთაისის გუბერნიის აწინდელ მილიციას ამ მძიმე მოვალეობის შესრულება არ შეუძლია.

იგი არ იღებს თავის დროზე ჯამაგირს, მას არა აქვს საკმაოდ იარაღი და პატრონები.

რა გზით უნდა მოვსპოთ ყაჩაღობა? ერთად ერთი გზა ის არის, რომ სანამ მილიცია სისტემატიურად მომაგრდებოდეს, დრ. მმართველობა ინებებდეს და ქუთაისის გუბერნიის მილიციას თავის დროზე მისცემდეს ჯამაგირს. საჭიროა აგრეთვე სოფლის საზოგადოებათა ფხიზელი თვით ორგანიზაციული მოქმედება.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ამას წინათ დაადგინა, ყოველ 20 მოსახლეს მისცეს ერთი თოფი თავდაცვისთვის.

სადაც მილიცია უფრო ორგანიზაციულია, იქ შეიძლება ერთი თოფი საყოფი იქმნეს, მაგრამ ქუთაისის გუბერნიაში ეს არ იკმარებს. ჩვენში თითოეულ 20 კაცზე 5 თოფი, მაინც არის საჭირო. ეჭვი არ არის, სოფლელები დიდის ენერგიით და უნარით წინ აღუდგებიან გაძლიერებულ მძარცველობას და მას თუ არ მოსპობენ, შეასუსტებენ უსათუოდ. ამ გარემოებას ახლავე უნდა გაუწიოს ანგარიში გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა და მიმართოს საოლქო სარევოლუციო ცენტრს ნაჩვენებ ზომის სისრუ-

ლეში მოსაყვანათ, თორემ ყაჩაღობისადმი უყურადღებობა დიდ სიმწარეს გვიქადის.

* * *

ჩვენ ვლაპარაკობდით იმ საფრთხის შესახებ, რომელიც წარმოდგა სოფელში.

უარესი ამბავია ქალაქში. ქუთაისში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ქურდობა. სცენაზე გამოდიან შანტაჟისტებიც.

კერძო პირებს მუქარის წერილს უგზავნიან და ფულს სთხოვენ. ამას წინათ შეშის საწყობის პატრონს ბარქაიას მოუვიდა მუქარის წერილი, რომელიც მან გუბერნიის კომისარსგადასცა ‡ამ რიგათ ქალაქშიც საშიში შეიქმნა ცხოვრება. ისევ დაისვა კითხვა, რა ვიღონოთ? შანტაჟისტობის შესახებ სხვა და სხვა გვარი აზრი წარმოუდგენელია. ქართული პოლიტიკური პარტიები ერთის ხმით და გადაწყვეტილებით უნდა შეებრძოლონ ისედაც არეულ ცხოვრების ამწეწ-დამწეწავ და სხვის ქონების მტაცებელთ.

საუკეთესო გზად ბოროტ მოქმედების ასალაგმავად უნდა მივიჩნიოთ ‡სისტემატიური ორგანიზაციული ბრძოლა როგორც თვით ბოროტ მოქმედებასთან, ისე იმ მიზეზებთან, რომელნიც ბოროტმოქმედების ზრდასა და განვითარებას ხელს უწყობენ. ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა ამ კითხვის გადასაჭრელად სათანადო ბჭობა უნდა გამართონ და ერთი სახელმძღვანელო გეგმა შეიმუშავონ.

ასე თუ არ ვიმოქმედეთ, მაშინ ქუთაისი გახდება მოწამე ცისმარე დღეს უტიფრათ ადამიანების გატაცების, როგორც ეს გასულ და მის წინა წლებში ხდებოდა.

აღძრული კითხვა მეტად საშურია და მისდამი გულცივობა ბევრს გვავნებს.

ი. დ-ძე.

## ი. მაჭავარიანის სიტყვა.

### თქმული ეროვნულ ყრილობაზე ქ. კიევში

როგორც საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელს მეტად სასიამოვნო დავალება მაქვს აქ, უკრაინის დედა ქალაქში, საქართველოს ძმური სალამი გარდაცვლილ დიდებულ შევჩენკოს მშვენიერს სამშობლოს (ტაში).

უკრაინა და საქართველო რუსეთს დაუკავშირდნენ 1654 და 1783 წლების ცნობილ ტრაქტატების ძალით. რომანოვთა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია უკრაინისა, და საქართველოს ეს ხელშეკრულებანი და მეტად მძიმე მონობის უღელქვეშ მოჰყვნენ. ძველი წესწყობილების დანგრევის შემდეგ ჩვენ და რუსეთის შემადგენელნი სხვა ერნი განვთავისუფლდით ამ უღლიდან. მონობის ჯაჭვი დაწყვეტილია და დღეს ამაზე კი აღარ უნდა ვილაპარაკოთ თუ როგორ განვთავისუფლდეთ მონობის ჯაჭვიდან, არამედ იმაზე, თუ როგორი ახალი ხელშეკრულობა შევკრათ რუსეთთან. თუნდაც ამ თვალსაზრისზე არ ვიდგეთ, სულ ერთია, დადგა დრო როდესაც ერთა განთავისუფლების იდეა, რაც ყველა სახელმწიფომ ბრწყინვალედ აღიარა, როგორც ერთადერთი მიზანი ამ ომისა, —უნდა თვის ნამდვილს განსახიერებას ჰპოულობდეს. თუ ძველ მთავრობას ეს იდეა ევროპისა და მთელი კაცობრიობის წინაშე მხოლოდ საჩვენებლად, თვალის მოსატყუებლად გამოჰქონდა, დღეს რუსეთის ხალხმა, მართვა-გამგეობის ძალის ხელში ჩაგდების შემძლემ, ეროვნულ პარტიის და სახელის ძალით დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს იმ ერთა პოლიტიკური უფლებანი, რომელნიც რუსეთის შემადგენლობაში შედიან (ტაში).

ყველა ხალხს, რა გინდა მცირე იყოს იგი თუ დიდი, აქვს თანასწორი უფლება დამოუკიდებლივ იარსებოს. მართლა უნდა უსირცხვო იყოს ადამიანი, რომ უფლებასა და სამართლიანობას მხარი აუქციოს და უარჰყოს პატარა ერების თვითგამორკვევა და თვითმართველობა, მათი უფლებანი მაქსიმუმ პოლიტიკურ თავისუფლების შესახებ (ტაში).

დიდი სახელმწიფონი ჩვეულათ არასოდეს ხელიდან არ გაუშვან პატარა ერები ეს დებულება არავითარ დამტკიცებას არ ჰ-აჭიროებს. იგი ნათლად გამოიხატა და ათასჯერ დადასტურდა მოსკოვის თათბირზე. ამიტომ საჭიროა ძლიერი ეროვნული ორგანიზაცია და ერთსულოვანი მუშაობა რუსეთის ერთა შორის. საჭიროა ფაქტიური განხორციელება საკუთარ უფლებისა, რათა მივაღწიოთ ჩვენს სამშობლოს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენას უკრაინა მიხვდა ამას, მიხვდა და სამართლიანად შეაფასა დრო, რომ ფაქტიურად ხელი მიეყო თავის უფლებათა აღდგენაზე.

ჩვენც ამ გზით მივდივართ. თუ დღემდინ ხმა არ ამოგვიღლებია, ეს მთელი კავკასიის მრავალფეროვნებით აიხსნება დღეს დღეობით თვით ეს სიძნელეც გადალახულია. თუ ქართველი ერი საუკუნეთა სარბიელზე ატარებდა აღმაფრენ სადმრთო სიყვარულს პოლიტიკური ‡თავისუფლებისადმი, თუ იგი 3 ათასი წლის განმავლობაში ეთაყვანებოდა ამ მშვენიერ ღმერთას, დღესაც ამავე გზით მიდის თავისუფლებისკენ მომზირალი. (ძლიერი ტაში).

ქართ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მხურვალედ გეგებებათ, სახელოვანნო მოქალაქენო, ვინც თქვენი მშობლიური დროშა აღმართეთ მაღლა, და გიცხადებთ, რომ ყოველი ერი, ვისაც არ ჩაჰქრობია უკეთილშობილესი გრძნობა სიყვარულისა თავისუფლებისადმი, ყველა ხალხი, ვისაც შერჩენია შემოქმედებითი ძალა და ძლიერი ენერგია თავისუფლების მოსაპოვებლად, იგი ჩვენთან ერთად იქნება, ჩვენ გამოგვყვება... (ძლიერი ტაში).

დასასრულს, ნება მომეცი მივმართო შენს ხსოვნას, უკვდავო ბაბუა ტარას, შენის სიყვარულით გავათბო გაყინული უკრაინის თავისუფლების ღმერთი. ჰხედავ აგერა, შენი სიყვარულით გათბა, გაცოცხლდა,..

გაუმარჯოს თავისუფალს უკრაინას გაუმარჯოს თავისუფალს ერებს! (ძლიერი ტაში).

## პეტროგრადის დემოკრატიული თათბირი.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

### ენკენისთვის 22 ს სხდომა. დემოკრატიული საბჭო.

**პეტროგრადი**. ენკენისთვის 22. მინორის თავმჯდომარეობით სხდომა 5 საათზე და 8 წუთზე იწყება. თავმჯდომარე ცხადებს, რომ თათბირმა უნდა განიხილოს წარდგენილი სიები იმ პირთა, რომლებიც სხვა და სხვა **ჯგუფების** მიერ არიან არჩეულნი დემოკრატიულ საბჭოში. მაგრამ რადგან ჯერ კიდევ ყველა ჯგუფს არ წარუდგენია თავისი სია, ამიტომ პრეზიდიუმი მოითხოვს უკვე წარდგენილ სიების განხილვას, დამტკიცებას და ნდობას. შემდეგში წარმოსადგენ სიების დამტკიცებას. პრეზიდიუმის წინადადებას ღებულობენ.

### დემოკრატიულ საბჭოს წარმომადგენელთა სიები.

ქვეყნდება და მტკიცდება დემოკრატიულ საბჭოს წარმომადგენელთა შემდეგი სიები. სრულიად რუსეთის **გლეხთა დეპუტატების** საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან: კერენსკი, ჩერნოვი, ავქსენტიევი, ბრეშკო ბრეშკოვსკაია, ფიგნერი, მასლოვი, სოკოლოვი, ბიხოვსკი, ვიშნიაკი, სოროკინი, პიტირინი, პოკროვსკი, კონდრატევი, არხანგელსკი, პიანიხი, სორკინი ივანე, გამსახურდია, ბერეზინი, ჩაიკოვსკი, გურევიჩი, რამიშვილი, გაჯინსკი, უნპიანსკი, გასტერი,- უსტინოვი, სუხარკოვი. შრედერი, ალექსეევი, ნატანსონი, სპირიდონოვა, გალკინი, კალეგაევი, რიბინი, კრივოროტი, იაბლონსკი, კამენცევი, ზურსინი, ზოლინი, გელოვანი: სრულიად რუსეთის **კოოპერატორთა ყრილობიდან**: ჩაიკოვსკი, ბერკენგეიმი, საზონოვი, ჩიანევი, კოსტინი, ანისიმოვი, სმერტინი, მაქსიმოვი, არსენევი, სინიუტინი, ტრუტნევი, კუსკოვა, იკოვი (მიროვი), ბრონშტეინი, კოლესნიკოვი, შევჩენკო; ჯარის თვითმართველობათაგან და **ყაზახთა კავშირების საბჭოდან**: სიდოროვი, პროტოპოპოვი, მაკრიგინი, ლარიონოვი; მშრომელ **სახალხო სოციალისტურ პარტიიდან**: მრიუხატოვი, ბულატი; **მაჰმადიანთა კავშირის საბჭოს** აღმასრულებელ კომიტეტიდან: დოსმუხამიდოვი, ცალიკოვი, ილია დეკკუგუშოვი, მუხამედიაროვი; სრულიად რუსეთის **მასწავლებელთა კავშირიდან**: ჩარნოლუსკი, გერდი; სრულიად რუსეთის **სამღვდელოების კავშირიდან**: მღვდელი ვედენსკი; **ქალთა ორგანიზაციებიდან**: ნოვიკოვა; **ეკონომიურ ორგანიზაციებიდან**: ციცეროროვი, გროშანი, გროჩეჩკო, კლიმოვი, შუბი, შადილოვი; სრულიად რუსეთის **გლეხთა კავშირიდან**: მაზურენკო და ბრედისი; **დაშავებულ ჯარისკაცთა კავშირიდან**: ვიშნევსკი; **სამხედრო საოლქო კომიტეტიდან**: სტრახოვი და ველიშევი: **საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტთა ჯგუფიდან**: ზერნიშევი, ლიტკინი, ზაპელინი და გოფმანი; **უკრაინელებისგან**: კორში შაპოვალოვი; **ლატიშებისგან**: სტუჩკო, ლიტოვცევი, იანუშკევიჩი, ბალისი; **წვრილ ეროვნებათა და ვოლგის მიდ. მოებში მცხოვრებთაგან**: ლიულიუნოვი, იგივე ფედეროვი; **ქართველთაგან**: შალვა გიორგის ძე გურგენიძე (?); **ბურელებისგან**: სამპილოვიჩი; **ბელორუსთაგან**: ქილუკოვიჩი, ვორონკო, პოლიაკოვი, ლავსკი, ლიტგანლევი კემპიშკესპი; **ესტონელთაგან**: ლუტსი; საერთაშორისო **სოციალისტურ პარტიათა საბჭოსაგან**: კუპილაძე: **ქალაქთა კავშირისაგან**; ნამიტოკოვი; **სომხთაგან**: ნაზარიანცი, იავლიჯიანი, **ებრაელთა სახალხო პარტიიდან**: გრუზენბერგი; **ერობათა** წარმომადგენლების ჯგუფიდან: პეტინი. პისარევი, პანასენკო, დობროსელსკი, კარპოვი. დუშეჩკინი, კოროშილოვი, გრიდანი, სოლდატოვი, რეიმანი, დმიტრიევი. მარკოვიჩი, კოსტენეცკი, გოროვოი, სიზიკოვი. ტერრი, ვეჩერი, პიმჩილენკო, პოპოვი, გოლოდაევი, მიკეშინი, ვალოოვი; **საადგილმამულო კომიტეტებიდან**: დრობროიინი, სიზოვი, კრივცოვი, ბელიკოვი, სემენოვი, ლიტვინენკო, ოგანოვსკი; **დანარჩენ ორგანიზაციებიდან**: ზარუდნი, დორფი, გრანი, გრეკოვი, ფომინი, ლისტერი, კრინისი, ლავროვი, სკრინინი, და კრესკი.

(დასასრული იქნება)

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

### სასოფლო საერობო არჩევნები

**პეტროგრადი**. ენკენ. 22. სოფლის საზოგადოებათა საერობო არჩევნების შესახებ სხვა და სხვა ცნობები მოდის. ნიჟეგოროდის და კოსტრომის გუბერნიებიდან იუწყებიან, გლეხები საქმეს შეგნებულად ეპყრობიან. ირჩევენ ექიმებს, აგრონომებს და მასწავლებლებს. მოგილევის გუბერნიაში არჩევნებმა ცოცხლად ჩაიარა. ზოგან არჩევნები ჯერ არ მომხდარა. ტამბოვის გუბერნიაში უმეტესად უპარტიონი და სასულიერო პირნი აირჩიეს: პერმის გუბერნიის ზოგ-ზოგ სოფლის საზოგადოებაში გლეხებმა არჩევნებზე უარი განაცხადეს, მინსკის გუბერნიაში ექსცესებსაც ჰქონდა ადგილი. ერთ სოფელში ჯარისკაცებმა კომისიის თავმჯდომარე დრუცკოი ლუბეცკი და სხვა პირები შეიპყრეს. ვიატკის გუბერნიაში არჩევნებმა დღესასწაულის ელფერი მიიღო.

### არეულობა ფეოდოსიაში

**ფეოდოსია**. ენკენ. 22. ჩამოვიდნენ საგუბერნიო და ფლოტის კომისარი საფონოვი. ქალაქს ეხლა კრეისერი და ნაღმოსანი იცავს. სიწყნარეა. სასურსათო გამგეობა საწყობებს სჩხრეკავს.

### კორნილოვის ტყვეობა

**მთავარი ბანაკი**. ენკენ. 22. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსის თანაშემწემ ვირუბოვმა ინახულა ქ. ბიხოვი, სადაც გაეცნო თუ რა პირობებშია დატყვევებული კორნილოვი და მისი მომხრენი, რომელნიც ქალთა გიმნაზიის შენობაში იმყოფება. გარედან წმ გიორგის კავალრები სდარაჯობენ, შიგნით ტეკინელები. პატიმარნი მოთავსებული არიან კლასებში. კარებში პატარა სარკმელია გაკეთებული, საიდანაც კერძს აწვდიან და თვალყურს ადევნებენ. სასეირნოდ დღეში ერთხელ გამოჰყავთ, მაშინაც ყარაულებს ერთიორად აძლიერებენ. პატიმართ იმასვე აჭმევენ, რასაც ყარაულს. მათთან არავის უშვებენ.

### არეულობა ირკუტსკის ჯარში

**ირკუტსკი**. ენკენ. 22. გუშინ-წინ ქალაქში ჩხრეკის დროს დაატუსაღეს საეჭვო პირები, რომელნიც ჯარისკაცებს კონტრრევოლუციონურ ლოზუნგებით მოუწოდებდნენ. ორმა პოლკმა არ აასრულა ბრძანება. დაატუსაღეს ჯარის უფროსი, რომელსაც დატუსაღებულთა განთავისუფლება მოსთხოვეს. პრაპორჩიკთა სკოლის იუნკრებმა და არტილერიამ ჯარის უფროსი განთავისუფლეს. აჯანყებულთაგან გამოჰყვეს ერთგულნი, დანარჩენთ იარაღი აჰყარეს. დატუსაღებულ მეამბოხეთაშორის ბევრი ყოფილი ჟანდარმი და პოლიციელი აღმოჩნდა.

### ბოლშევიკები და დემოკ. თათბირი

**პეტროგრადი**. ენკენ. 22. პეტროგ. დეპ. საბჭომ ასეთი რეზოლუცია მიიღო: „ხელოვნურად შექმნილი დემოკრატიული თათბირი სახელმწიფოს მდგომარეობას ვერ აუმჯობესებს. წინასწარ პარლამენტი უფრო კონსერვატიული იქნება, რაც ახალ საფრთხეს გვიქადის. კონტრ-რევოლუციას წინააღმდეგობას მხოლოდ რევ. დემოკრატიის ორგანიზაციათა ცენტრები გაუწევენ. რევოლუციურ დემოკრატიის დასარაზმავად და რევოლუციური მთავრობის საკითხის გადასჭრელად საჭიროა დაუყოვნებლივ იქმნეს მოწვეული დეპ. საბჭოების ყრილობა“.

## ეროვნული კითხვა.

### მაჰმადიანთა ყრილობა

**დონის როსტოვი**. ენკენისთვის 21. სამხრეთ რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობის რეზოლუცია მოითხოვს რევოლ. დემოკრატიის წინაშე სოციალისტურ მთავრობას; ეროვნულ საკითხში კი ფედერატიულ ავტონომიურ პრინციპს აღიარებს.

### მოლდავთა ეროვნული პოლკი

**მთავარი ბანაკი**. ენკენისთვის 22. მოლდავთა ცენტრ. კომიტეტში შუამდგომლობა აღძრა მოლდაველ ჯარისკაცთა ცალკე ეროვნულ პოლკების გამოყოფის შესახებ, მიზეზად რუსული ენის უცოდინარობას ასახელებენ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ პოლკი ბესარაბიის გადასარჩენად ლომებრ იბრძოლებსო. გენ. შჩერბაჩევმა შუამდგომლობას მხარი დაუჭირა.

### ფინლიანდიის რესპუბლიკის საკითხი

**პეტროგრადი**. ენკენისთვის 22. ფინლიანდიის სტატს-სეკრეტარიატი აცხადებს, რომ ფინლანდია რესპუბლიკად არ გამოცხადებულა ჯერ. ახალი მართვა-გამგეობის პროექტი დრ. მთავრობის მოწონების შემდეგ სეიმს გადაეცემა, ხოლო რუსეთ ფინლიანდიის დამოკიდებულების კანონ-პროექტს ერთდროულად განიხილავს სეიმი და დამფუძნებელი კრება.

### ბოლშევიკების მოქმედება ფინლანდიაში

**ჰელსინგფორსი**. ენკენისთვის 21. ჯარისა და მცხოვრებთა მიმართ ფინლანდიის საოლქო კომიტეტის მიერ გამოშვებული მოწოდება ბოლშევიკების შეხედულებას აკრიტიკებს. რევ. დემოკრატიის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის შედგენამდე, საოლქო კომიტეტი თავის კანტროლს აწესებს ფინლანდ. ყველა სახელმწ. დაწესებულებებზე და აცხადებს, რომ მის დაუდასტურებლად არც ერთი განკარგულება კოალიციურ მთავრობისა არ იქნება შესრულებული. კომიტეტი მოუწოდებს რუსეთის რევოლუციონურ ძალებს დაიცვან თავისი ორგანიზაციები და თვითნებურ მოქმედებას და განკერძოვებით გამოსვლას ნუ ინებებენ.

### ფინლიანდია და რუსის ჯარი

**აბო**. ენკენისთვის 20. ადგილობრივმა სოც.-დემ. ორგანიზაციამ აღმოაჩინა ბნელი ძალების მუშაო'ა, რომელნიც ჯარისკაცებს და მეზღვაურებს მცხოვრებლებს უსევენ და აბოს დეპ. საბჭოს განუცხადა, რომ არსად მას ბურჟუაზიულ გვარდიაზე საჩივრით დელეგატები არ გაუგზავნია· მისი სახელით გამოსულან გერმანეთის ქვეშევრდომი ძარცვა-გლეჯის მონაწილე დუერი და სისხლის სამართალში მიცემული, სურსათ-სანოვაგეზე სპეკულიაციით გამდიდრებული ხიურსკიუმურტო, რომელიც თავის თავს მუშას უწოდებს.

### ფინლიანდიის რესპუბლიკა

**ჰელსინგფორსი**. ენკენისთვის 22. სენატმა ფინლანდიის მართვა-გამგეობის ფორმის ახალი პროექტი შეიმუშავა, რომლის პირველი მუხლი ფინლიანდიას რესპუბლიკათ აცხადებს. რუსეთთან დამოკიდებულების მოგვარება საგანგებო ძირითად კანონით მოხდება. ფინლიანდიის პრეზიდენტი და სეიმი განაგებს.

### ფინლიანდიის სარესპუბლიკო კანონის პროექტი

**ჰელსინგფორსი**. ენკენისთვის 23. იმ კანონის პროექტი, რომელიც შეიცავს ფინლიანდიის რესპუბლიკურ მართვა-გამგეობის ფორმებს, ფინლიანდიას რესპუბლიკად აცხადებს. კანონმდებლობითი უფლება მოსილობა სეიმთან ერთად ეკუთვნის რესპუბლიკის პრეზიდენტს. უმაღლეს აღმასრულებელ ფუნქციებს შეასრულებს პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს თანამშრომლობით. პრეზიდენტი საყოველთაო კენჭისყრით 6 წლის ვადით უნდა ირჩეოდეს. არჩევნები იანვრის 15—16 მოხდება ხოლმე. ხელმეორედ არჩევნები—ერთი თვის შემდეგ. პრეზიდენტი მოვალეობის შესრულებას აპრილის პირველიდან შეუდგება. პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ იწვევს სეიმს და საჭიროების მიხედვით არაჩვეულებრივსაც, ნიშნავს ახალ არჩევნებს, ჰხსნის და ხურავს სეიმის სესიებს. მშვიდობიან დროს ჯარის მთავარსარდალი პრეზიდენტია. რუსეთთან დამოკიდებულების საკითხებს პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოს შემწეობით სწყვეტს. მინისტრთა საბჭოს წევრებს პრეზიდენტი ნიშნავს. სამშობლოს დასაცველად ყოველმა ფინელმა უნდა მოიხადოს სამხედრო ბეგარა. ჯარის მობილიზაციას მინისტრთა საბჭოს თანხმობით პრეზიდენტი აცხადებს: მართვა-გამგეობის ეს ფორმა ძირითადი კანონია, რომელიც აუქმებს 1772 წლის თებერვლის 21—1789 წლის აპრილის 3-ის აქტს და შემდეგ დროის ყველა კანონებს და დადგენილებებს, რომელიც მართვა-გამგეობის ახალ ფორმას ეწინააღმდეგება.

### რუსეთთან დამოკიდებულების პროექტი

**ჰელსინგფორსი**. ენკ. 23 ფინლიანდიის რუსეთთან დამოკიდებულების პროექტის ძირითადი საფუძველნი ასეთია. ფინლანდია რუსეთთან შეერთებული რჩება, მაგრამ აქვს რუსეთის კანონმდებლობისა და სახელმწიფო მთავრობისაგან დამოუკიდებელი თავისი საკუთარი კონსტიტუცია და მთავრობა. ომისა და ზავის საკითხს საერთოდ სწყვეტს რუსეთის მთავრობა. უცხო ს ხელმწიფოებთან რუსეთის მთავრობამ უნდა შეჰკრას ის ხელშეკრულებანი, რომელთა ნებასაც ფინლიანდიის მთავრობას არ მისცემს. ფინლიანდიაში რუსის ჯარი ფინლიანდიის ჯართან ერთნაირი უფლებებით სარგებლობს გადაზიდვის, გემების და ცხენების რეკვიზიციის საკითხებში. ვიდრე რუსეთს საჭიროდ მიაჩნია ფინლიანდიაში საკუთარი ტელეგრაფი იქონიოს, უკანასკნელი რუსეთის მთავრობის წესდების მიხედვით იწარმოვებს. რუსეთს ნება აქვს ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო ბანკის კანტორები იქონიოს. დებულებანი ფინლანდიის ჯარისა სამხედრო ბეგრის შესახებ ფინლიანდიამ უნდა შეიმუშაოს, ხოლო ომის დროს ფინლიანდიის ჯარი რუსეთის სარდლობას ექვემდებარება. ახალი ციხეებისა და ნავთსადგურების ასაშენებლად საჭიროა რუსეთის მთავრობის თანხმობა.

### სეიმის არჩევნები.

**ჰელსინგფორსი**. ენკენისთვის 23. სეიმის არჩევნებში მესამე დღეს სოც.-დემ. შეადგენენ 45—47 პროცენტს, ბურჟუაზიული პარტიები კი 54—55 პროცენტს.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**იმერეთის სამღვდელოების კომიტეტის კრებაზე**. სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებით სამმართველოს იმერეთის განყოფილებამ 25 ენკენისთვის კრებაზე სხვათა შორის მსჯელობა იქონია, თუ როგორ უნდა შეხვდენ ქუთათელ მიტროპოლიტს ყოვლად სამღვდელო ანტონს, რომელსაც მოელიან 4 ოქტომბერს და დაადგინა, არჩეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისია საზეიმო შეხვედრის მოსაწყობათ. კომისიაში არჩეულ იქმნა 7 კაცი. ესევე კომისია უნდა დაესწროს სრ. საქართ. კათალიკოსის კურთხევას მცხეთაში 1 ოქტომბერს. მონობისაგან განთავისუფლებულ საქართველოს ეკლესიის პირველ ქუთათელ მიტროპოლიტის შეხვედრის დღე და წესი ცალკე იქნება გამოცხადებულ.

✦ **ქართულ ენაზე საქმის დაცვა**. 24 ენკენისთვეს ნაფ. ვექილმა გრ. ს. ბარათაშვილმა და კერძო ვექილმა პ. ლორთქიფანიძემ ქუთაისის სასამართლოში პირველად ქართულ ენაზედ დაიცვეს საქმე.

✦ **ფერშალთა და ბებია ქალთა კრება**. დღეს, საღამოს 6 საათზე ქუთაისის საგუბერნიო საექიმო განყოფილების დარბაზში დანიშნულია ფერშალთა და ბებია ქალთა კავშირის საბჭოს კრება სხვა და სხვა საჭირო კითხვების გასარჩევათ

✦ **გაძარცვა**. როგორც გუბერნიის კომისარს ატყობინებენ ს. აბაშაში 12 ენკენისთვეს, ფ. ფოფხაძეს თავს დაესხა სამი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი და წაართვეს 6600 მანეთად ღირებული სხვა და სხვა ნივთები და ფული. ფოფხაძემ იცნო ბოროტ-გამზრახველები. ისინი შეიპყრეს, ბოროტ-მომქმედნი აღმოჩნდენ: ნოდია, ტყებუჩავა და ჰანტურაია, რომელნიც სენაკის სატუსაღოში მოათავსეს.

✦ **ქალაქის საჭო**. 25 ენკენისთვეს დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება, მაგრამ რადგანაც ხმოსნების მცირე რი-

კვირას 1-ელ ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ქართულ გიმნაზიის დარბაზში გაიმართება **გაღმა უბნის ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა**

# კ რ ე ბ ა.

განსახილველია ფრიად საშური და საინტერესო კითხვები. უმორჩილესათ გთხოვთ დაესწროთ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის კომიტეტი.

---

ცხვი გამოცხადდა, კრება 27 ენკენისთვისათვის გადაიდო.

**წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში.** წელს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პანსიონში სანოვაგის სიძვირის გამო მოწაფეებს არ მიიღებენ.

**გუბ. აღმასრულებელ კომიტეტში.** 25 ენკენისთვეს შესდგა ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა კრება. კრებამ პირველად განიხილა ხარლამოვის დეპეშა, რითაც თხოულობდა ყურადღება მიექციათ მიწის გადასახადის აკრძალვის კითხვისათვის და სასურველად მოეგვარებათ. კრება ხარლამოვის დეპეშას, როგორც ხარლამოვისას, გულცივათ შეხვდა. იკამათეს და დაადგინეს მიწის ხარკის შეკრეფის მოგვარება მინდოს მაზრების კომისარებს, როგორც ეს დღემდის იყო. შემდეგ მოხსენება გააკეთა ოზურგეთის კომისარმა-ოზურგეთის მაზრის ვითარების შესახებ. კრებამ ოზურგეთის შესახებ ორი საათი ილაპარაკა. ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტს სხვათა შორის სეპარატიულათ გამოსვლაც დასწამეს.

მოხსენების შემდეგ ბევრმა წევრმა კრება დასტოვა: რთული საკითხების გარჩევა კი მცირე რიცხოვანმა კრებამ თავს არ იდო და შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

**მოწოდება.** ქალაქის თვითმართველობამ მოწოდება გამოსცა, სადაც შანტაჟისტებს ამხელენ, რომ სამარცხვინო საქციელი ამიერიდან უარყონ.

**ქალაქის საავადმყოფო.** ქალაქის საავადმყოფოში დაავადებულნი მეტად ცუდ მდგომარეობაში უხდებათ ყოფნა. მოსამსახურეები მზრუნველობაში გულცივობას იჩენენ, როდესაც დაავადებულთა პატრონები უკანასკნელ გროშსაც კი იხდიან.

**მისასალმებელი დეპეშა.** დ. ო. ნიჟარაძემ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა სახელით სრულიად ქართველი ერის კათალიკოზ-პატრიარქს კირიონს მისასალმებელი დეპეში გაუგზავნა.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ზესტაფონი.** 1 ოქტომბერს დღის 1 საათზე ქ. ზესტაფონში უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის დარბაზში მოხდება **შორაპნის მაზრის** სახალხო მასწავლებელთა ყრილობა საყურადღებო საკითხების გასარჩევათ და სკოლების მეთვალყურის ასარჩევათ.

— **ოზურგეთი.** 1 ოქტომბერს, დღის 1 საათზე ახალ თეატრში დანიშნულია ოზურგეთის მაზრის სახალხო მასწავლებელთა ყრილობა გურიის სკოლების მეთვალყურის ასარჩევათ და სხვა კითხვებზე მოსალაპარაკებლათ.

— **სენაკი.** 1 ოქტომბერს, დღის 1 საათზე უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებელში დანიშნულია სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებელთა საერთო ყრილობა სხვადასხვა საკითხებზედ მოსალაპარაკებლათ და მეთვალყურის ასარჩევად.

— **ზუგდიდში** და **რაჭაში** სახალხო სკოლების მეთვალყურის არჩევნები მოხდება ხუთშაბათს 28 ოქტომბერს.

— **ს. საჭამია-სერი.** დაარსდა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. წელს გაიხსნება პირველი და მეორე კლასი.

## ჟურნალ გაზეთებიდან.

### ზავი და ევროპა.

გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი"-ს კორესპონდენტი ებაასა კანცლერ მიხაელისს. კანცლერს სხვათა შორის უთქვამს: „ზავი მოახლოვებულია. ამას ყველა სახელმწიფონი უნდა გრძნობდენ. ახლა ყველას აინტერესებს თუ როგორი სახისა იქნება თვითონ ზავი. თუ აწინდელი მდგომარეობა უცვლელათ დარჩა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ევროპა დიდათ დაზარალებული არ გამოვა ომიდან. ცენტრალი სახელმწიფონი თუ რამეს შეიმატებენ თორემ არაფერს დაჰკარგვენ. ინგლის-საფრანგეთსაც არ აუღია ხელი სახელმწიფურ ძლიერ თვით-მყოფლობაზე. მაშასადამე, ისინიც ეცდებიან წინანდელი უპირატესობა შეინარჩუნონ. იძახოდენ, რომ ომის სიმძიმე ბალკანეთს დააწვება კისერზეო. ახლა კი, როგორც ირკვევა, ომის სიმძიმე უფრო რუსეთისკენ იხრება, რომელი რუსეთიც კარგა ხანია თავის მოკავშირეებს გამოეთიშა და მსოფლიო ომს თვითონ დამოუკიდებლათ უნდა გამოუტანოს საყოველთაოდ განაჩენი.

### ეგვიპტეს ოსმალეთს უბრუნებენ.

ბერლინის წრეებში მითქმა-მოთქმაა ამის შესახებ რომ ოსმალეთს ჯილდოთ სხვათა შორის დაუბრუნდება ეგვიპტე. არაფერია ნათქვამი ტრიპოლისზე, ალჟირზე და ტუნისზე.

### ინგლისის ზარალი.

დიდ-ბრიტანეთს, მას შემდეგ, რაც გერმანეთმა საზავო ტერორი და გარემოცვა გამოაცხადა, დაღუპვია 2958 დიდი და 1,978 სხვა და სხვა სახის გემი. ამ გემების აშენებას ბრიტანეთი რომ შეუდგეს, 4 წლის განმავლობაში ვერ მოახერხებსო, სწერს გაზ. „ბირჟ. ვედ."

### მართველობის რეორგანიზაცია.

დრ. მმართველობის სხდომაზე აღიძრა კითხვა მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ. კერენსკი მოითხოვდა კოალიციას. ახალ კაბინეტის შემადგენლობაში შესაყვანათ ასახელებენ: ვაჭრობის მინისტრათ, **კონოვალოვს**. სახელმწიფო მზრუნველობისას— **კიშკინს**. ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარეთ **ტრეტიაკოვს**, სახელმწიფოს კონტროლიორად **სმირნოვს**; თანამდებობაზე ბრუნდებიან შრომის მინისტრი სკობელევი და სარწმუნოების კარტაშევი. მიწათმოქმედების მინისტრათ ინიშნება გლეხთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **მასლოვი**.

განიხილეს აგრეთვე წინასწარ პარლამენტის შექმნის კითხვა. წინასწარ პარლამენტს ენიჭება წინასწარ თათბირის ფუნქცია, მთავრობა პირდაპირი პასუხის მგებელი არ არის მის წინაშე. აზრათ აქვთ, რომ ხსენებულ პარლამენტში ცენზიანი ელემენტებიც შეიყვანონ.

### როგორ გაასამართლებენ კორნილოვს.

მოსკოვის იურიდიულმა საზოგადოებამ და სრულიად რუსეთის იურისტთა კავშირმა დაადგინა კორნილოვის საქმე გადაეცეს სამოქალაქო სასამართლოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნაფიცი მსაჯულები.

### რუსეთის სოფლებში.

გაზ. „რუს. სლოვო"—ს ატყობინებენ, ვოლგის სოფლებში საზარელი და საოცარი ამბები ხდება. ხალხი განადირების და გამხეცების პირას სდგას. ამას წინათ ერთი ინტელიგენტი (ჟურნალისტი) ჩამოვიდა, რომელსაც ცოტათი სუფთათ ეცვა, მივარდენ მას, „ბურჟუა, ბურჟუაო" მიაძახეს და ცემა დაუწყეს. სოფელში კაცს უქალამნოთ ველარ გაუვლია, ყველგან ბურჟუა ელანდებათ. ქალებიც გამწარდენ და კარგათ ჩაცმულ ქალებს ცემა დაუწყეს. გლეხები აღარ იძლევიან არც პურს და არც სხვა სანოვაგეს. ვოლგის ყველა სოფლები ანარქიულ სახეს ღებულობენ":

### მოკავშირეთა აზრი.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ საფრანგეთს და ინგლისს რუსეთმა ზურგი კარგა ხანია შეაქცია და კავშირიდან გამოვიდა. იგი დამოუკიდებლათ სწყვეტს ბევრ კითხვას და ამიტომ მოსალოდნელია, ჩვენ სხვა და სხვა კითხვები რუსეთის დაუკითხავად გადავსწყვიტოთო („დაილე ტელეგრაფი".)

## ქალაქის წარმომადგენელთა ყრილობა.

ენკენისთვის 21 სხდომა

### ფინანსიური მდგომარეობა

ბ-ნი **სმირნოვი** დიდ მოხსენებას კითხულობს ქალაქთა ფინანსიურ მდგომარეობაზე, ორატორი კრებას მიუთითებს, თუ როგორ ზღუდავდა ძველი მთავრობა ქალაქთა ფინანსიურ უფლებებს, რაც სოციალ პირობების გამწვავებას იწვევდა. დღეს კი მდგომარეობა ძირიანად უნდა შეიცვალოს. ქალაქმა ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ მცხოვრებთაგან აღებულ თანხა გადასახადის სახით ისევ მცხოვრებთა კეთილდღეობას ჰხმარდებოდეს.

მომხსენებლის აზრით ქალაქის საბიუჯეტო თანხა სამ წყაროდან უნდა იკრიბებოდეს: —შემოწირულებისგან, გადასახადებისგან, და ქალაქის საკუთარ ქონების ექსპლოატაციისგან. როდესაც ამა თუ იმ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა ირყევა და ნელ-ნელ ეცემა, მაშინ კოტრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სესხის აღება. მომხსენებლის აზრით ქალაქებისთვის ხელსაყრელ სესხად ყოველივე დიდვადიანი სესხი უნდა ჩაითვალოს, ან და ქალაქმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ფორმა როდესაც ქალაქი სესხს პირ და-პირ მცხოვრებლებიდან იღებს. ამ შემთხვევაში ქალაქი ბანკების აპეკიდან განთავისუფლებული იქნება.

რეფერატი ყურადღებით იქმნა მოსმენილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ რეფერატს სულ 8 თუ 9 კაცი დაესწრო, რის გამოც რეფერატის კითხვას მეტისმეტი მკრთალი ხასიათი მიეცა.

22 ენკენისთვის სხდომა.

### სკოლის საკითხი.

ბ-ნი **იშკოვი** კითხულობს მოხსენებას სკოლის შესახებ, რეფერენდი ჯერ ძველი სკოლის დახასიათებას შეუდგა, შემდეგ ახალ სკოლაზე გადავიდა და აღიარა, რომ მომავალში მთელი სკოლები ქალაქის გამგეობის ხელში უნდა გადავიდესო. ყოველივე ღონე უნდა იქმნეს მიღებული რომ ახლო მომავალში სწავლა უფასო, საყოველთაო და სავალდებულო იყოს. თუ კი პირველ ხანებში თანხა არ იქნება უფასო სწავლის შემოსაღებად, მაშინ მიღებულ უნდა იქნას ზომები, რომ პირველი ოთხი კლასი მაინც უფასო იყოს. რაც შეეხება საშუალო სასწავლებლის მეორე ოთხ კლასს და უმაღლესს სკოლას, აქ მიღებულ იქმნეს ზომები, რომ ღარიბს საშუალება მიეცეს სწავლისა. ამიტომ ორატორი ერთად ერთ საშუალებად სთვლის სტიპენდიების დაარსებას. ასეთი სტიპენდიის სისტემა ძლიერ გავრცელებულია გერმანეთში, შვეიცარიაში, ინგლისში და შედეგიც ძლიერ კარგი მოაქვს. იგი დიდს ყურადღებას აქცევს აგრეთვე სასწავლებლის გარეშე სწავლას და მოითხოვს მის მკვიდრად დაყენებას. სწავლის საგანში უნდა შედიოდეს მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება და სიყვარული კულტურისადმი და ცივილიზაციისადმი. ეჭვი არ არის, რომ ამ საქმეს მარტო ქალაქის თვითმართველობა ვერ გაუძლევება, ამიტომ ქალაქმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ამ საქმეში მონაწილეობა მიაღებინოს პროფესიულ კავშირებს და კოოპერატივებს. მომხსენებლის აზრით აგრედვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს „საბავშო ბაღების" გახსნას, რომელნიც ამავე დროს ერთნაირი თავშესაფარი იქნება ქუჩის, უპატრონო და ობოლ ბავშვთათვისაო.

რადგანაც ამისთვის აუარებელი თანხაა საჭირო, სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება ქალაქთა თვითმართველობათაო.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მცირე კამათი: ბ-ნმა ცერცვაძემ რეფერატში სკოლის გარეგნული სახე დაინახა, ამიტომ მოითხოვა, რომ საჭიროა თვით სკოლის შინაგანი გარდაქმნაო. სხვები კი მოითხოვდნენ, რომ სკოლას პროფესიულ სასწავლებლის ხასიათი მისცემოდა. მოჰყავდათ მაგალითები, რომ გერმანეთში მეეზოვეთა სკოლაც კი არსებობსო.

კრებამ ყველა მოსაზრებანი მოისმინა და ბ-ნ მომხსენებლის რეფერატის მუხლები ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცა.

### პროტესტი რკინის გზათა გაფიცვის წინააღმდეგ

ბ-ნი გეპშტეინი კრებას აუწყებს, რომ რუსეთის რკინის გზათა ცენტრალმა კომიტეტმა 23 ენკენისთვის საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. ვიცით რა, რომ გაფიცვა სასიკვდილო ლახვარი იქნება რევოლუციისათვის, ამიტომ ბ-ნი გეპშტეინი მოითხოვს საპროტესტო დეპეშის გაგზავნას რკინის გზათა ცენტრალ კომიტეტისათვის. კრებამ აირჩია სარედაქციო კომისია, და საჩქაროდ იქმნა შედგენილი დეპეშის ტექსტი. ტექსტის განხილვის შემდეგ ყველა კმაყოფილი დარჩა, გარდა **ათაბეგოვისა,** რომელიც ამართლებდა რკინის გზათა მოსამსახურეთა საქციელს.

### მილიციის საკითხი

**ს. ფირუმოვი** ვრცელს მოხსენებას კითხულობს მილიციის შესახებ. მომხსენებლის აზრით მილიცია ქალაქის თვითმართველობის ორგანოს აღმასრულებელი ძალა არის, მით ქალაქის თვითმართველობა სარგებლობს და მილიციაც მხოლოდ ამ მმართველობას ემორჩილება. თუ კი ქალაქის სხვა დემოკრატიული დაწესებულებანი მოინდომებენ ამა თუ იმ შემთხვევაში ქალაქის მილიციით სარგებლობას, მაშინ მათ ამის სათანადო ნებართვა უნდა გამოსთხოვონ ქალაქის თვითმართველობას. რაც შეეხება მილიციის შტატს და მილიციონერების ჯამაგირს, ეს დამოკიდებულია ფინანსიურ და ქალაქთა მცხოვრებლების რაოდენობისაგან. მილიციაში შესულნი ცოტად თუ ბევრად ნასწავლნი უნდა იყვნენ. თუ კი პირობები ხელსაყრელი იქნება, მაშინ ყოველი ღონე უნდა იქმნას მიღებული, რომ მილიციონერები თვით მცხოვრებლებმა აირჩიონ. მილიციის უფროსი პასუხისმგებელია ქალაქის საბჭოს წინაშე.

მილიციას ინახავს ქალაქი და სახელმწიფო ხაზინა. და ვინაიდან დღეს ქალაქების ხაზინა ძლიერ ცარიელია, მიტომ შემოღებულ უნდა იქნეს სამილიციო გადასახადი...

მომხსენებელს ორი მუხლი დაუწუნეს. სახელდობრ—მილიციას ხაზინაც ინახავს და რომ სამილიციო გადასახადი იქმნება შემოღებულიო, შიშს გამოსთქვამდნენ თუ ხაზინა დავიხმარეთ, მაშინ ხაზინა ყოველ ღონეს იხმარს, რომ მილიციის მართვა-გამგეობა ხელს იგდოსო. ამ შემთხვევაში ქალაქის გამგეობის და ადმინისტრაციის შუა კონფლიკტი აუცილებელიაო.

მაგრამ მომხსენებელმა განმარტა, ქალაქების ფინანსიური მდგომარეობა მეტის მეტად სამწუხაროა და თუ ამ ორ უკიდურეს ზომას არ მივმართეთ —ისე მილიციის არსებობა შეუძლებელი გახდებაო.

კამათი დიდხანს არ გაგრძელებულა და თათბირმა ყველა მუხლები დაამტკიცა.

### მუშათა საკითხი.

მუშათა საკითხზე მოხსენება წაიკითხა ქ-ნმა **ი. ი. ჟორდანიასამ.** შეეხო თუ რა დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს ქალაქის თვითმართველობამ მუშათა საკითხში განაცხადა, რომ ქალაქის თვითმართველობა სოციალ **პოლიტიკას** უნდა დაადგეს და შრომის კომისიები უნდა დაარსოსო. ამისთვის კი საჭიროა დაარსებულ იქმნეს კოლექტიური ხელშეკრულება ქალაქის გამგეობისა და პროფესიალ კავშირის შუა. აგრეთვე ქალაქმა უნდა მოაწესრიგოს მუშათა დაზღვევა სიბერეში, ავადმყოფობისაგან და უბედურ შემთხვევისაგან.

მომავალი დემობილიზაცია უმუშევართა რიცხვს საზღაპროდ გაზრდის. რომ უმუშევრობამ ფართო ხასიათი არ მიიღოს, დაარსებულ უნდა იქმნეს შრომის ბირჟა. აგრეთე ქალაქის გამგეობა ახლავე უნდა შეუდგეს საზოგადო სამუშაოების დაარსებას, რომ ადგილი მისცეს უმუშევართ.

ენკენისთვის 23-ის სხდომა.

### სურსათის საქმე

მეტის მეტად საინტერესო და საჭირბოროტო საკითხზე კითხულობს მოხსენებას თბილისის ქალაქის მოურავი ბ-ნი **ნ. ზ. ელიავა.** იწყებს სურსათის განხილვას, იგონებს ახლო წარსულს და აცხადებს, რომ სასურსათო კომიტეტები შესაფერად და ღირსეულად ვერ გაუძლვენენ სურსათის საქმეს, ამიტომ მომავალ უბედურების თავიდან ასაცდენად აუცილებელია, რომ სახელმწიფო ჩაერიოს სასურსათო საქმეებშიო.

კერძოდ ეს ითქმის ამიერ კავკასიაზე. ამიერ კავკასია ყოველთვის ჩრდილო კავკასიის მოსავლით იკვებებოდა. ამასთანავე, დღემდე ჩრდილო კავკასია მხოლოდ ამიერ კავკასიას აძლევდა პურს. დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა. დღეს თვით რუსეთი და თურქესტანის გუბერნიებიც იმშევა. **ამიტომ ჩრდილო-კავკასიიდან პური რუსეთსა და თურქესტანში გადის და ამიერ კავკასია კი იმშევა.** ამიერ კავკასიისთვის საჭიროა 50,000 მილიონი ფუთი ხორბალი. ჩრდილო-კავკასიაში კი წელს 60,000 მილიონი ფუთი ხორბალი მოსულა, ასე რომ ამიერ კავკასიისთვის ჩრდილო-კავკასიის ხორბალი ზედმეტიც არის. რაც შეეხება პურის რეკვიზიციას, თვით ჩვენ ქვეყანაში, ეს პირდაპირ შეუძლებლად ხდება. ვინაიდან მცხოვრებლები პურს არ აჩენენ, არის მრავალი ცნობები, რომ მცხოვრებლები პურს მიწაში ფლავდნენ... ერთი სიტყვით მცხოვრებლები წინააღმდეგობას არ ერიდებიან.

წინედ თბილისს დღეში 10—8 ვაგონი ხორბალი სჭირდებოდა. პურის ბარათების შემოღების შემდეგ კი საშუალოდ დღეში 5 ვაგონი სჭირდება, მაგრამ ამ ხუთი ვაგონითაც არ არის ქალაქი უზრუნველყოფილი. ქალაქმა ამ ზაფხულს 70-დე ვაგონი ხორბალი შეინახა სათანადოდ, დღეს კი ქალაქს კიდევ სამი დღის პური აქვს და **თუ რკინის გზათა მუშაობა შესწყდა. მაშინ სამი დღის შემდეგ ქალაქი იმშევა.** გამოსასვლელი გზა არსად არის.

შემდეგ მომხსენებელი ეხება შაქრის და ჩაის საკითხს. როგორც სჩანს, ქალაქი ამ შემთხვევაში უფრო ბედნიერად ყოფილა. მოსკოვის ჩაის საწყობს 10 მილიონი ჩაი გამოუგზავნია ამიერ კავკასიისთვის. მომხმარებელი ეხება სხვა სურსათის სხვა მხარეებსაც და აღიარებს, რომ ახლო მომავალში იძულებული ვიქნებით ყოველივე სურსათზე ბარათები შემოვიღოთ.

მომხსენებლის აზრით ქალაქმა უნდა აიღოს სასურსათო საქმე, რომელიც თვით ქალაქს შეეხება. პარალელური დაწესებულებები არ უნდა არსებობდეს. მომხსენებელს მოჰყავს მაგალითი: ქალაქმა ყველის სასყიდლად გაგზავნა კაცი და განოირკვა, რომ გაგზავნილ კაცის მისვლამდე ყველი კერძო პირებმა შეისყიდეს. როდესაც ქალაქის გამგეობამ პასუხი მოსთხოვა სასურსათო კომიტეტს, მათ უპასუხეს, რომ ქალაქის დადგენილებას არ ვეთანხმებითო.

ამიტომ ელიავა მოითხოვს, რომ მომავალში ქალაქის გამგეობამ გამოჰყოს თბილისი ცალკე ერთეულად და ქალაქისთვის თვითვე შეისყიდოს ეს თუ ის სურსათი, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ ქალაქის გამგეობის მოქმედებას სურსათის საქმეში კონტროლი უნდა უკეთდებოდესო.

სურსათის განაწილება უნდა ხდებოდეს ქალაქის მიერ კოოპერატივებთან შეთანხმებით, და ქალაქის სასურსათო გამგეობა უნდა შედიოდეს სახელმწიფო სასურსათო ორგანიზაციაშიო. **მ. საირხელი.**

## დასავლეთ-საქართველოს საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლების კრება.

ენკენისთვის 24.

სხდომა იხსნება საღამოს საათის 7-ზე სახაზინო გიმნაზიის შენობის დარბაზში. თავმჯდომარეთ ირჩევენ წინანდელი კრების თავმჯდომარეს **ბ-ნ ივანე გაჩეჩილაძეს.** ი. გაჩეჩილაძე თავმჯდომარის ადგილს იჭერს და შემდეგ კითხვებს არდგენს განსახილველათ: 1 გადამდგარ გამგეობის წევრების და თავმჯდომარის არჩევა, 2. მასწავლებელთა შვილების სწავლის ფასისგან განთავისუფლება, 3. ზოგიერთ წევრის შეუფერებელ მოქმედების შესახებ, 4. პედაგოგიურ საბჭოების ავტონომია და მათი უფლებების დაცვა.

**თავმჯდ. ი. გაჩეჩილაძე:** ამას წინათ ჩვენს კრებაზე კავშირის ერთმა წევრთაგანმა (ხმები: ის გამგეობის წევრიც არის), სახელდობრ ალ. წერეთელმა, გამგეობის მიმართ სთქვა, იგი უმოქმედობას იჩენსო. წერეთელს ტაში დაუკრეს, რის გამო ხსენებულ გამგეობის სამი წევრი დ. ქუთათელაძე, ჩხენკელი და ფიალკოვსკი გადადგენ.

**მასწ. ჩხენკელი:** გამგეობა ჯერ არ გადამდგარა.

**ა. ფალავა.** რაცა სთქვა წერეთელმა, ეს მისი კერძო აზრი იყო, და გამგეობას არავითარი მორალური და იურიდიული უფლება არა ჰქონდა, რომ მოვალეობა დაეტოვებია. ბოლოს უმთავრესი არ არის, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს ახლა გამგეობა ავირჩიოთ. აქ შეკრებილია ამჟამათ მხოლოთ ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მასწავლებლობა, ჩვენს კავშირში კი შედიან ხონელები, ფოთელები, ბათომლები და სხვანი, რომლებიც მეორე სხდომაზე ჩამოვლენ და მაშინ შეიძლება მოგვეცემა ალღრულ კითხვის გადასაჭრელათ.

**ამხ. სვანაძე:** მე ვთხოულობ ჩემი საქმის გასარჩევად სასამართლო დანიშნოთ. პრესაში, თუ კერძო პირები აღნიშნავენ, თითქოს მე ნაციონალიზაციის და პედა-

გოგიურ საბჭოების ავტონომიის წინააღმდეგი ვიყო. განიხილეთ ეს კითხვა, მომისაჯეთ სასჯელი, თუ დამნაშავე ვარ.

თავმჯდომარე სვანაძის წინადადებას განსახილველ კითხვათა შორის სვამს.

**ალ. თორაძე**: გადავიდეთ სასწრაფო კითხვების გარჩევაზე. გამგეობის არჩევა კრების ბოლოს განვიხილოთ.

**ამ. სვანაძე**: გამგეობის კითხვის გარჩევის უფლება ამ სხდომას არც კი აქვს, რადგან კრებაში შეიძლება უმრავლესობას არა წევრნი შეადგენენ. (ხმები: ეს კრება გაგრძელებაა წინანდელი კრებისა. მაშასადამე მას უფლება აქვს, განიხილოს აღძრული კითხვა.)

**ტრ. ჯაფარიძე**: საჭიროა, გამოირკვეს, თუ რათ წავიდა გამგეობის ერთი ნაწილი?

**ამ. სვანაძე**: საქმე ის არის, რომ კრება გაგრძელებაც რომ იყოს, ამით მას უფლება სრულიადაც არ ეძლევა, გამგეობის კითხვა გადასჭრას.

**ალ. თორაძე**: დღევანდელი კრება წინანდელზე უფრო სრულ რიცხოვანია. 60-მდე წევრი ვართ აქ. ფორმალ მხარეს თავი დავანებოთ და შევუდგეთ კითხვის განხილვას. შეიძლება ყოველთვის ამდენი წევრი ვერც კი დაესწროს. დღეს უქმე იყო და, როგორც იქნა თავი მოვიყარეთ.

**დ. ქუთათელაძე**: წესდების ძალით კრებას 80 წევრი თუ დაესწრო მას უფლება აქვს განიხილოს ყოველგვარი კითხვა. (ხმები: კითხვა გამორკვეულია, საქმეზე გადავიდეთ!

**მასწ. გიგინეიშვილი**: ჯერ გამგეობა არსებობს, იგი არ გადამდგარა და ამიტომ მის შესახებ კითხვის დასმა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

კრება იწყებს პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიების უფლებების შეკვეცის განხილვას.

თავმჯდომარემ **ი. გაჩეჩილაძემ** კრებას აუწყა, რომ ხონში სასკოლო კომისიამ აირჩია მასწავლებელი და კიდეც დაამტკიცებია ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რაც პედაგოგიურ საბჭოების უფლებათა შებღალვას ნიშნავს. **ა. ფალავა**: არის ფაქტი, რომ ერთ-ერთმა სასწავლებელმა არჩევითი წესი (ე. ი. ის, რომ პედაგოგიური საბჭო ირჩევდეს მასწავლებელს) უარყო. სასტიკათ უნდა ვებრძოლოთ პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიების შეკვეცას და დავავალდებულოთ პედაგოგიური საბჭოები, რომ არჩევითი წესი დაიცვან.

**ალ. თორაძე**: ამ კითხვის შესახებ, ჩემის აზრით, არსებითს ახლა ვერაფერს დავადგენთ. ჩვენ განუცხადოთ უკმაყოფილება და გავაფრთხილოთ ყველანი, რომ ასეთი მოვლენა არ განმეორდეს.

**ამ. სვანაძე**: რასაც თქვენ ამბობთ, ის სრულიადაც არ არის პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიის შებღალვა. აქ საჭიროა გავიგოთ, თუ რაში გამოიხატება თვით ეს ავტონომია. ჩემის აზრით, ამ რაში: მასწავლებელთა კორპორაცია განაგებს სასწავლებლის სამეურნეო დარგს და ანაწილებს გაკვეთილებს.

**ა. ფალავა**: ასეთი ავტონომია არ გვესმის. ამ. სვანაძე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვების შემდეგ მართლაც ყოფილა ავტონომიის წინააღმდეგი. ვსთქვით და ვამბობთ, მედგრათ დავიცავთ ავტონომია და მასში ჩარევის ნება არავის მივსცეთ. (ხმები: ამ. სვანაძე მაისში ამბობდა, რომ სამშობლო ენა ის უნდა იყოს, რომელსაც ხალხის დიდი უმრავლესობა ლაპარაკობს).

**გაბარაშვილი**: იმაზე უფრო ფართე ავტონომია, როგორიც ამ. სვანაძემ დაგვიხატა ისეთმა არქაულმა უწყებამ, როგორიც უწმ. სინოდია ჯერ კიდევ 30 წლის წინათ მიანიჭა თავის სასწავლებლებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ავტონომია უფრო ფართოა: პედაგოგიური საბჭოები მასწავლებლებს ირჩევენ და ნიშნავენ.

**დ. ქუთათელაძე**: ამ. სვანაძე რევოლუციამდე იცავდა პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიას, ხოლო რევოლუციის შემდეგ კი არ ეტყობა, რომ იცავდეს.

**ა. ფალავა**: ჩვენი წმინდა მოვალეობა არის დავიცვათ პედაგოგიურ საბჭოების ავტონომია და განვამტკიცოთ ყველგან არჩევითი წესი. მხურვალე პროტესტი განვაცხადოთ ავტონომიურ უფლებათა შელახვის წინააღმდეგ.

**ამ. სვანაძე**: ავტონომია აქ კიდევ სხვანაირათ ესმისთ. არსებობენ სასკოლო და საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები რომელთაც ანგარიში უნდა გაუწიოთ.

**მასწ. ბერიძე**. სასკოლო კომიტეტს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს პედაგოგიურ საბჭოსთან. იგი მხოლოთ სკოლის ნაციონალიზაციის საქმეს მიუძღვის.

**ამ. სვანაძე**: საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი თვითონ სცემს კანონებს მთელ გუბერნიის სავალდებულოთ, მევიცი, რომ აქ მხარს არავინ დამიჭერს გამამტყუნებთ. ამის გარდა მე მირჩევნია დავექვემდებარო საგუბერნიო აღმასრულებელ რევოლუციურ ორგანოს, ვიდრე პროფესიულ კავშირს; ამიტომ კავშირის წევრობიდან გამოვდივარ, დარბაზს ვსტოვებ და ვსთხოვ ამხანაგებს, ასევე მოიქცენ ამ. სვანაძე მიდის.

შეადგინეს საპროტესტო დეპეში პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიების უფლებათა შელახვის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიის სამოსწავლო კომისარიატისთვის გასაგზავნად. მოგვყავს დეპეშის შინაარსი:

„დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის ენკენისთვის 24-ს კრებამ მოისმინა რა მოხსენებები ხონში და ბათომში პედაგოგიურ საბჭოების ავტონომიების შეკვეცისა, სასტიკ პროტესტს აცხადებს და გაუწყებს, რომ ჩვენს უფლებათ უკიდურესის საშუალებით პირველ რიგში გაფიცვით, დავიცავთ. მოვითხოვთ, რომ დღეიდან არჩევითი წესი არსად დაირღვეს."

**მასწ. კროტკოვი**: შენიშნავს, რომ გაზ. „კავკაზ“-ში ყოველ დღე სწერია ამა თუ იმ მასწავლებლის დანიშვნა, რომელსაც ქვეით ხარლამოვი აწერს ხელს. პროტესტი გავგზავნოთ და მოვითხოვოთ, რომ მასწავლებლები ირჩეოდენ პედაგოგიურ საბჭოსგან და არ ინიშნებოდენ.

**დ. უზნაძე**: ამის შესახებ პროტესტის გაგზავნა არავითარ რეალს შედეგს არ მოიტანს. მე როგორც რწმუნებული სახალხო განათლების სამინისტროში, მოგახსენებთ საქმის ნამდვილ ვითარებას. მოგეხსენებათ წინათ მეფის ნაცვალი ნიშნავდა მასწავლებელთ. დღეს მეფის ნაცვლის უფლებანი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის ხელთ გადმოვიდა. დრ. მმართველობამ ამიერ კავკასიის სამართავად ხსენებული საგანგებო კომიტეტი გამოგზავნა. ხარლამოვი თავის შეხედულებით კი არ ნიშნავს ამა თუ იმ პირს, არამედ ამიერ-კავკასიის სამოსწავლო კომისარიატის წარდგენის შემდეგ. სხვანაირათ მოქცევა არც შეუძლია ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რადგან იმ შემთხვევაში იგი მთავრობისგან ვერავითარ კრედიტს ვერ მიიღებდა. იყო მოვლენა რომ მასწავლებლები დანიშნეს, მაგრამ ასეთი მოვლენა იშვიათია. უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლებს პედაგოგიური საბჭოები ირჩევდენ და მერე ამტკიცებდენ თბილისში.

**ა. ფალავა** აყენებს კითხვას ზოგიერთ წევრის შეუფერებელ მოქმედების შესახებ.

**ი. გაჩეჩილაძე** ამ მხრივ მეც მიმიძღვის დანაშაული. ამას წინეთ კავშირის კრებამ დადგინა რომ სწავლა ოქტომბრის სამამდის გადადებულიყო ხოლო, როდესაც მე ეს კითხვა რეალურ სასწავლებელის პედაგოგიურ საბჭოს წარუდგინე, იქ ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს, რომ სწავლა დაეწყოთ ესათუოდ ენკენისთვის 1 დან. მე მინდოდა საერთოდ დამესვა კითხვა, როგორ უნდა მოექცეს წევრი კავშირისა, იმ შემთხვევაში, როდესაც კავშირის დადგენილების შესრულება არ შეუძლია. (ხმები: საჭიროა პედაგოგიურ საბჭოების ყველა წევრი იძულებული იყოს, ჩაეწეროს პროფესიულ კავშირის წევრათ).

**ა. ფალავა**: კითხვა სრულიადაც არ შეეხება ი. გაჩეჩილაძეს. მისი მოქმედება ტეხნიკურ ხასიათის არის. ჩვენ ვარჩევთ სვანაძის საქციელს, რომელმაც ქალაქის საბჭოს ერთ ერთ კრებაზე პედახოგიურ საბჭოების ავტონომიების წინააღმდეგ გაილაშქრა და სთქვა: თუ თქვენ გვითითებთ უნივერსიტეტების ავტონომიებზე ნუ დაგავიწყდებათ, რომ უნივერსიტეტში მეცნიერები სხედან, აქაურ პედაგოგიურ საბჭოებში კი დაქირავებულები.

მსჯელობენ იმის შესახებ დაწესდეს თუ არა იძულებითი ჩაწერა.

**ალ. თორაძე**: მე უარვჰყოფ იძულებით ჩაწერას, ეს მეტად შეუფერებელი წესია. არც ერთი პროფესიული კავშირის იძულებით ჩაწერას არ ავრცელებს. რისაკვირველია, შეიძლება თავისუფალი პროპაგანდა, რომ წევრებათ ჩაეწერნენ, მაგრამ იძულებითი ჩაწერა არა შემთხვევაში არა. ჩემის რწმენით ჩაწერვას ყველა მოისურვებს და თუ იმას შევეხებით, რომ რატომ არ ეწერებიან ზოგიერთები, ეს აიხსნება სხვადა სხვა დაუდევრობით რომელსაც მე აქ არ შევეხები. მაგ. პირადათ მე სულ სამ დღეა, რაც ჩავეწერე წევრათ, თუმცა სურვილი კარგა ხანია მქონდა ჩავწერილიყავი.

იძულებითი ჩაწერა, ჩვენ უნდა უარვყოთ.

**ა. ფალავა** იძულებითი ჩაწერის მომხრეა. მასწ. **კროტკოვი** და **ჭეიშვილი** იძულებითი ჩაწერის წინააღმდეგნი არიან. ბოლოს უარყვეს იძულებით ჩაწერა და დაადგინეს მოწოდებით მიმართონ ყველა სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოებს, რომ პედაგოგები ჩაეწერონ წევრებათ.

**ა. ფალავა** მოითხოვს, საპროტესტო რეზოლუცია იქნეს გამოტანილი ამ. სვანაძის ქალაქის საბჭოში გამოსვლის შესახებ.

**ა. თორაძე** ჩემის ფიქრით ამ კითხვის ახლა განხილვა უხერხული იქნება. ეს კითხვა მოვხსნათ და შემდეგ, როგორც ეს თვით სვანაძემ ითხოვა, დანიშნოთ საამხანაგო სასამართლო.

**ტრ. ჯაფარიძე**: რაც სვანაძეს ქალაქის საბჭოში უთქვამს, მეტად საყურადღებოა. ამიტომ საჭიროა, ჯერ ის გამოირკვეს სავსებით. პრესაში იყო აღნიშნული, მაგრამ ეს არ კმარა,

**მას. კროტკოვიც** მოითხოვს სვანაძის კითხვის მოხსნას და მერე ორივე მხარის ცალ-ცალკე მოსმენას.

კითხვას ხსნიან. კრება აგრეთვე არ სწყვეტს გამგეობის არჩევის კითხვას,

კრება იხურება ღამის 12 ნახევარზე.

## გუბერნიის მცხოვრებთა მიმართ.

საშინელ ვაჭირებას განიცდის ჩვენი სამშობლო სურსათის უქონლობის გამო: დღითი დღე მცირდება რაოდენობა მოტანილი პურისა, ჩვენი სოფლები სიმინდს არ გვაძლევენ. დღითი დღე საგრძნობი ხდება უქონლობა პურისა და სიმინდისა ქალაქებსა და სოფლებში.

ქალაქის მცხოვრებნი უფრო მწვავეთ გრძნობენ შექმნილ მდგომარეობას, დღეს თუ არა ხვალ მოსალოდნელია ნამდვილი შიმშილი.

დროებითი რევოლუციური მთავრობა ხმარობს ყოველსავე ღონეს, რათა ხალხს მიაწოდოს ყოველგვარი სურსათი, სცდილობს ყოველს საშუალებას იხსნას ქვეყანა დაღუპვისაგან და ამდენი სისხლით მოპოებული თავისუფლება უვნებელი ჰყოს მტერთაგან.

მოქალაქენო! ძველი რუსეთის დახავსებული მთავრობა, ერთ მუჭა ადამიანთ გროვას ეყრდნობოდა, მისთვის ზრუნავდა და მისგანვე ელოდა დახმარებას, მაგრამ ხალხის უტეხმა ნებისყოფამ დაამხო იგი, სამუდამოთ დაასამარა, რადგანაც ის, ძველი მთავრობა, ხალხის, დემოკრატიის მოსისხლე მტერი იყო. ახალი რევოლუციური მთავრობა - თქვენის ნდობით აღჭურვილი, თქვენი ინტერესების მედგარი დამცველი თქვენგან, ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოითხოვს დახმარებას და თქვენ უნდა მისცეთ დროებით მთავრობას და მის ხელ-ქვეით ორგანოებს პური და სიმინდი, თორემ ხალხს საშინელი მეფეშიმშილი მოელინება, რომელიც შეიტანს ხალხში მღელვარებას, უწესობას და მაშინ ხომ სამუდამოთ დაგვეღუპება ჩვენი სანატრელი თავისუფლება. დღემდის ჩრდილოეთ კავკასია გვიწვდიდა მეგობრულ ხელს და გვაძლევდა პურს, დღეს ჩრდილოეთ კავკასიას დახმარების გაწევა არ შეუძლია, რადგანაც ზედმეტი პური ჯარსა და რუსეთის შიდა გუბერნიებს ეჭირვება.

ეს იმტენათ ართულებს მდგომარეობას, რომ ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ საჩქაროდ დაუყოვნებელი ზომები. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს. იმედი გვაქვს თქვენგან დახმარების, დარწმუნებული ვართ თქვენს მოქალაქობრივ შეგნების სიძლიერეში, ამისათვის მოგმართავთ, მიწის მუშაკნო, მიიტანოთ ზედმეტი სიმინდი ადგილობრივ სასურსათო კომიტეტებში და მიყიდოთ მათ დადებულ ფასებში.

ამ კეთილ საქმეს მოითხოვს თქვენი დამშეული ძმები, შეუჩერებელ ომისგან უმუშახელოთ დარჩენილი გაპარტახებული ოჯახები, თქვენი საყვარელი სამშობლო და ჩვენი სანუკვარი, ნორჩი თავისუფლება. ნუ დააყოვნებთ! დრო არ იცდის. დამშეული ადამიანები თქვენგან შველას მოელიან!

ამასთანავე უნდა ვაუწყოთ გუბერნიის მცხოვრებთ, რომ ამ რამდენსამე დღეში ფასი პურზედ გაძვირდება ერთი ორათ. თუმცა ეს მოვლენა ძლიერ ძნელი იქნება თქვენთვის, მაგრამ ამას მოითხოვს ქვეყნის, რუსეთის რესპუბლიკის ინტერესები.

პურზედ ფასის გადიდება არ გახლავსთ უბრალო ჟინი სასურსათო კომიტეტებისა ან მეპურეებისა, ასეთი არის განკარგულება დროებითი რევოლუციური მთავრობისა, რომელმაც ამოსწურა ყოველივე საშვალება, რათა ხალხს იაფ ფასებში ქონოდა პური, ხოლო მაინც იძულებული გახდა მომენტისთვის გაეწია ანგარიში.

მოქალაქენო! არ შეიძლება იაფი პური გვექნეს, სანამ ეს უმსგავსო სისხლის ღვრა გრძელდება, სადაც მილიონობით მომუშავე ხელი მოწყვეტილია თავის ოჯახს, სანამ ასე დაცარიელებული და დაუთესავია მინდვრები და სხვა.

**ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი**

22/IX—917

## სვანეთი.

(გაგრძელება).

სვანეთის ქულბაქი ცაგერია ლეჩხუმში, სადაც ოთხი დღის წინათ უნდა გამოსწიოთ საქონლით თუ სხვა საქულბაქო ნაწარმოებით. კიდევ კარგი, თუ მთა არ წაგიხდათ. ამ დროს მგზავრობა განწირულია. სვანეთის ქედ-გორებზე კანქარი უნდა იყოთ, ან აქურცკი მახლა მხტომელი, რომ ხევ ხუვის მსხვერპლი არ გახდეთ.

დიახ ესრეთი შევიწროება გახლავთ უგზოობითაც. საჭიროა ყურადღება მიექცეს, მიმოსვლათა აღმასრულებელ ორგანოთაგან ზომები იქნეს მიღებული მიმოსვლის გასაუმჯობესებლათ. ნათქვამია, სოფელი ღონიერიაო, ჩვენ დავსძენთ: თუ კაცი გონიერიათქო. სოფლის გონიერება კი პოლიტიკურ-ეკონომიურ თვით-ცნობიერებაში გამოიხატება, რაც სამწუხაროთ ქართველი ერის მდაბიო ნაწილის ერო უმთავრეს ნაკლს შეადგენს. პიროვნება თავისი მდგომარეობით სოციალური ერთეულია და როგორც ესრეთი ვალდებულია ფართო საზოგადოების განუყრელი მოკავშირე იყოს. ამ შემთხვევაში სოციალურ საზოგადოებას შეუძლია სოციალური გამონაკლისიც შექმნას, როგორც ღირძი კულტურული არსებობისა. ესრეთი გამონაკლისი სოციალური შემოქმედებაა და როგორც ამგვარი ყველასთვის სათაყვანო და სასარგებლო. ზევითაც მოვიხსენეთ, რომ სოციალური პიროვნება ეკონომიური ღირებულების წარმომშობელიც გახლავთ.

ვინ შესძლებს პოლიტიკურ ეკონომიურ და სოციალურ ნაკლის აღვსებას მომავალში, ვის შეუძლია ჩაუყაროს საძირკველი სოციალურ კულტურულ არსებობას? ჩვენ ეჭვი არ გვაქვს, რომ ეს ვალი მომავალი თაობის მისიას შეადგენს, რომელიც საჭიროა ფართო სოციალურ მზრუნველობას ექვემდებარებოდეს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალური გუმანიზმით აღზრდილნი ყოველთვის საზოგადოების გულშემატკივარნი იქმნებიან და პირადი ღირსებაც ჭეშმარიტ ადამიანის მოწოდების გამშვენებელი იქნება. ნათქვამია, „ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდენო“.

მართალია ჩვენს კულტურულ სოციალურ დაწესებულებათ და ძმობა კავშირებს ვერ შევაწუხებთ ამ დიდი საქმისთვის, მაგრამ ვალი გვაქვს, პროგრესიულ კულტურული მიზანი დაუსახოთ უკანასკნელთ. „კეთილისათვის მოქმედსა ცანიცა ეხმარებიანო“. ამაზე უკეთესი კი რაღა იქნება ერის კულტურულ დაწესებულებათა თავს იდვან ნიჭიერ ერის თაობის აღზრდა. ეს მეტად სიმპატიური მზრუნველობა საჭიროა იქ, სადაც ერი მეტს დახმარებას თხოულობს. ეს ერი სვანეთია, სადაც ჩვეულებრივი გულშემატკივარი მისიონერ-მზრუნველები აღარ იპოვებიან და მასწავლებელთ გარდა სპეციალურ თანამდებობისა რა უნდა მოვთხოვოთ. აქედან ადვილი მისახვედრია კულტურული ვაჟრობა-მრეწველობის საქმე, რა ნიადაგზე უნდა იყოს დაყენებული.

რა თქმა უნდა პოლიტიკურ ეკონომიურ და სოციალურ გათვითცნობიერებაში სკოლა უმთავრესი ხელმძღვანელია. თავისთავად ცხადია, რომ პოლიტიკურ ეკონომიური და სოციალური თვითცნობიერება კულტურულ სწავლა-განათლების საჭიროების შეგნების ნაყოფია. სვანეთში დღეს ორი ტიპის სკოლებია: საერო განათლების და სამისიონერო. უკანასკნელი სკოლები დღეს არა სასურველ მდგომარეობაში იმყოფებიან, სამისიონერო სკოლებს სვანეთში აღარ ჰყავს ჩვეულებრივი გულშემატკივარი ხელმძღვანელი მისიონერები. მიზეზიც ეს გახლავთ რომ დღეს უკანასკნელნი სულიერად და ტეხნიკურად არა სასურველ უკიდურესობას განიცდიან. საჭიროა გულშემატკივარ სამოსწავლო საბჭოებმა ყურადღებით მოეპყრნენ ამ მოვლენას და ერის თაობას განათლების თავშესაფარი აღუდგინონ.

**იგივე.**

## წერილი რედ. მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირებს, რომელთაც კეთილინებეს და შემოსწირეს სოფ. ღარიხევის წმ. გიორგის ეკლესიის ახლად ასაგებ კანკელის სასარგებლოთ: 1) ილიკო კ. ჭიპაშვილმა 3 მ.; 2) სერგო დარ. ჭიპაშვილმა 2 მ; 3) ნესტორ სეს. ჭიპაშვილმა 50 კაპ; 4) მათე პავ. ჭიპაშვილმა 1 მ; 5) გლახუა ამ. გძელიძემ 3 მ.: 9) მიხაკო გძელიძემ 3 მ.; 7) თალხან თხელიძემ 2 მ.; 8) ბერი ივ. თხელიძემ 3.; 9) ასიკო ნანიტაშვილისამ 1 მ. 20 კაპ. 10) ოლღა ებანოიძისამ 1 მ.; 11) მარიამ ბუაჩიძისამ 50 კაპ. 12) ნინა კაციტაძისამ 1 მ.; 10) თეკლე სინაურიძისამ 50 კაპ.: 14) ელისაბედ ვეფხვაძისამ 50 კაპ; 15), სუსანა კაკულიასამ 50 კაპ. 16) ნიკო კაკულიასამ 1 მ; 17) კასანია შუხნიკაშვილისამ 50 კაპ. 18) დიმიტრი ახმედოვმა 50 კაპ. 19) დაფინა ახრახაძისამ კამკამიძის ასულმა 5 მ.; 20) იგივე დაფინამ, გარდაცვალებულების: მაქსიმ, ჯაშია, ანნა, თამარა, ბარბალე და ვარდოს მოსახსენებლათ 5 მ.; 21) ივანე დეკანოსიძემ 1 მ.; 22) ესტატე დეკანოსიძემ 2 მ.; 23) პანტელო დეკანოსიძემ 1 მ.; 24) ტერეზია კაპკამიძისამ 1 მ. 50 კაპ.; 25) მიხაკო კამკამიძემ 5 მ. 26) პაპუნია დეკანოსიძემ 3 მან.

მღვ. **პეტრე მიხელიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია



## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. - - | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | -- საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | - - დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | - ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | - - საღამოს - | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | - დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დღით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ, ტელეფონი № 135.


სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში